გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის შესყიდვის ხელშეკრულება №29

ქ. წალენჯიხა 7 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა გულორდავას სახით, და მეორეს მხრივ, შპს გამომცემლობა „მერიდიანი" გამომცემლობის დირექტორის გიორგი გიგინეიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი".

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ – „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შემსყიდველმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, (CPV 22100000 ნაბეჭდი წიგნები, საინფორმაციო ფურცლები და ბროშურები) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტრუქტურის და ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ქართულ და ინგლისურ ენოვანი ბუკლეტების დამზადება-მიწოდება და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 400.00 (ოთხასი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მოცულობის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტუქტურის და ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ქართულ და ინგლისურ ენოვანი 60 ცალი ბუკლეტის დამზადება-მიწოდება 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5. საქონლის ხარისხის შესაბამისობა

5.1. წინასწარ შეთანხმებული მოდელებისგან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1. საქონლის მიწოდების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის 14 მარტამდე.
6.2. ადგილი:
6.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №47

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება „შემსყიდველის" მიერ მოთხოვნილი საქონლის „მიმწოდებლის" მიერ ჩაბარების შესაბამისად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში ელ ფაქტურის მიწოდების და მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს მისაწოდებელი საქონლის მიწოდება „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. საჭირო დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედდებული) „მიმწოდებლის" მიერ გადაცემის შემდგომ უზრუნველყოს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროს ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის,

მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება რომლის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს საქონლის მიწოდების დღიდან.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 7 მარტიდან 2016 წლის 15 აპრილამდე არსებული მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ერთი – “შემსყიდველთან

„შემსყიდველი“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ს. კოდი 242739248

მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. II სართული.

ხაზინის ერთიანი ანგარიში

სახაზინო კოდი 300393459

ტელ: 599 85 77 77

გოგა გულორდავა

„მიმწოდებელი“

შპს გამომცემლობა „მერიდიანი“

ს. კოდი 200004850

მისამართი ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №47

ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი

ბ. კოდი UGEBGE22

ა/ა GE69VT6600000017467452.

ტელ: 239 15 22

გიორგი [illegible]